განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2020 წლის 8 მაისი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05. 06. 2020

თბილისი
2020

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	-
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	60
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	ავტორიზებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ბოლქვაძე (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ გიორგაძე (სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო)
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	-

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ეყრდნობა ენათა სწავლის, სწავლებისა და შეფასების სისტემას და მიზნად ისახავს, რომ პროგრამის სტუდენტებმა ქართულის ცოდნის დონე აიმაღლონ ოთხი მომართულებით: წერა, კითხვა, მოსმენა და მეტყველება. კურსები ისეა შერჩეული და შინაარსობრივად ისეა აგებული, რომ სტუდენტებს ქართული ენის შესწავლა მოუწევთ მათთვის საინტერესო, აქტუალური თემების მეშვეობით და რეალურ ცხოვრებაში გამოიყენებენ აუდიტორიაში მიღებულ ცოდნას.
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არასოდეს არ განხორციელებულა. ამ უნივერსიტეტის სტუდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ქართულენოვანია. უნივერსიტეტი მზად არის პროგრამა აამუშაოს თვით ერთი სტუდენტისთვისაც. უნივერსიტეტს მოუწევს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების გადამზადება, მათი პროფესიული განვითარების გეგმის შემუშავება, სამეცნიერო მივლინებების დაფარვა, საჭირო ლიტერატურის შეძენა და განახლება. უნივერსიტეტი მზად არის გასწიოს ეს ხარჯი თვით უნივერსიტეტის განვითარებისა და საქართველოს მოქალაქეთა ინტეგრაციისათვის.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის დისტანციური შეფასება განხორციელდა 2020 წლის 8 მაისს წინასწარ დამტკიცებული დღის წესრიგის მიხედვით. ექსპერტთა ჯგუფი ვირტუალურად შეხვდა: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის ფარგლებში მოწვეულ აკადემიურ პერსონალსა და უნივერსიტეტის მოქმედ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.
ექსპერტთა ჯგუფმა ელექტრონულად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკა და მისი კატალოგი. ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კარგი ინფრასტურქურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ სასურველი პირობები განათლების მისაღებად. ბიბლიოთეკაში არის ქართული ენის შესასწავლად ელექტრონული რესურსებიც, რომლებსაც სტუდენტები გამოიყენებენ პროგრამის ამუშავების შემთხვევაში.
ესპერტთა ჯგუფის წევრები ცალკე შეხვდნენ როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, ისე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ესაუბრნენ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებსა და ამჟამინდელ სტუდენტებს. ამ შეხვედრას დიდი მნიშვენლობა ჰქონდა სტუდენტთა მოსაზრებების მოსმენისა და განხილვის მიზნით. სტუდენტებს უხარიათ უნივერსიტეტში სწავლა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ლექტორები მათთვის ქმნიან საქმიან და სასიამოვნო გარემოს.

სამუშაო დღის ბოლოს ექსპერტებმა პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს გააცნეს ძირითადი მიგნებები და მოისმინეს ჯგუფის წევრებისგან განმარტებები. გამოჩნდა, რომ პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალი იღებს და რეაგირებს შენიშვნებზე. პროგრამის სამიზნე

ნიშნულები თითოეული სწავლის შედეგისთვის მკვეთრად და ნათლად უნდა იქნეს ჩამოყალიბებული.
ექსპერტთა ჯგუფისთვის აშკარა გახდა, რომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი დაინტერესებულია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მაღალ დონეზე ორგანიზებით, პროგრამაში ჩართულმა მოწვეულმა პერსონალმა კარგად იცის მეორე და უცხო ენების სწავლების ახალი მეთოდები. პროგრამის ხელმძღვანელი მზადაა, მუდმივად გააუმჯობესოს სილაბუსები. მათი გაუმჯობესების საჭიროება ჯერ არ შექმნილა, რადგან უნივერსიტეტში უმეტესად დასავლეთ საქართველოში მოსახლე სტუდენტები სწავლობენ. უნივერსიტეტს არა აქვს საერთო საცხოვრებელი, რაც ართულებს შორი რეგიონებიდან სტუდენტთა მოზიდვას. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაკებს ზრდის, აუცილებელია ქართული ენის კათედრა ან ცენტრი ფუნქციონირებდეს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. პროგრამის ხელმძღვანელი იყოს ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც კონკურსის წესით დაიკავებს თანამდებობას და არა საათობრივი ანაზღაურებით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის აზრით, უმჯობესია, ეს პროგრამა ამუშავდეს დიდ უნივერსიტეტებთან თანამშროლობით, თუმცა ამისთვის სამართლებრივი ბაზა ჯერ არ არსებობს.

აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამა ნაწილობრივ ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ რეკომენდაციათა ჩარჩოს სტანდარტსა და ძირითად კრიტერიუმებს. წერა, კითხვა, მეტყველება და მოსმენა გამოცხადებულია ქართული ენის სამეტყველო ფუნქციებად, რაც ხდება ბევრი შეცდომის მიზეზი. პროგრამის ძირითად ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ეფუძნება ენის სწავლების კომუნიკაციურ და ფუნქციურ მიდგომას. განსაკუთრებით საინტერესოა მეორე სემესტრიდან სტუდენტებისათვის დარგობრივი კურსების შეთავაზება და ისეთი ტერმინოლოგიის ათვისება, რომელიც მათ სჭირდებათ, როგორც ხელოვნების მუშაკებს. სხვადასხვა კურსის ფარგლებში დაგეგმილია ისეთი აქტივობები, პროექტები და დავალებები, რომლებიც ხელს შეუწყობს პროგრამის მონაწილეებს, უკეთ გაეცნონ საუნივერსიტეტო ცხოვრებას და ქართულ სოციალურ კულტურას, უმტკივნეულოდ გაიარონ ადაპტაციის პროცესი და გახდნენ ქართული სამოქალაქო საზოგადოების წევრები. ამის მიუხედავად, აუცილებელია, რომ ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მთლიანად დაეყრდნოს ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული რეკომენდაციების ჩარჩოს და მიზნად ისახავდეს, რომ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტი პასუხობდეს B დონის მოთხოვნებს.

- **რეკომენდაციები**

პროგრამა ნაწილობრივ ეყრდნობა ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ რეკომენდაციათა ჩარჩოს სტანდარტსა და ძირითად

კრიტერიუმებს. მან მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს საერთოევროპული სტანდარტი, რომ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტი პასუხობდეს B დონის მოთხოვნებს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებებს სხვადასხვა ლექტორები უძღვებოდნენ.
  - სილაბუსთა დიდ ნაწილში მითითებული ლიტერატურა ან ძალიან მოძველებულია ან არ შეესაბამება სილაბუსის მიზანდასახულობას. გასაოცარია, რომ სილაბუსებში სტუდენტებისთვის გამოსაყენებელი ლიტერატურის სიაში ჯერ კიდევ გვხვდება გოლეთიანისა და წიბახაშვილის მიერ შედგენილი სასაუბროები.
  - მისასალმებელია, რომ პრაქტიკულ კურსებს შორის არის ორთოეპიის კურსი, მაგრამ როგორც კურსის შინაარსი გვაჩვენებს იგი იმდენად სწორად მეტყველებაზე კი არ არის ორიენტირებული, რაც უნდა შეადგენდეს ამ კურსის ძირითად მიზანს, არამედ სწორად წერაზე, ანუ ორთოგრაფიაზე, რომელიც ნამდვილად მნიშვნელოვანია, როცა ქართულ ენას ვასწავლით როგორც მეორე ენას, მაგრამ ორთოეპიის კურსის შინაარსი უნდა მოიცავდეს ქართულისთვის დამახასიათებელი ბგერითი სისტემის პრაქტიკულად ათვისებასა და სწორად წარმოთქმას. ეს უნდა აისახოს დავალებებსა და კურსის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურაში. ამ მხრივ ორთოეპიის პრაქტიკული კურსი გადასამუშავებელია.
  - სილაბუსებში დასახელებული ყველა ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკის კატალოგში.
  - საჭიროა ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ახალი ლიტერატუროთ და მათი ასახვა სილაბუსებში.
  - არც ერთ სილაბუსში არ არის მითითებული ამა თუ იმ კურსის მისაღწევი მიზანი ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს რომელ დონეს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საჭიროა სილაბუსების განახლება.
  - პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების რუკა ძალიან ფორმალურია. საჭიროა იგი შეივსოს უფრო კონკრეტული ინფორმაციით.
  - პროგრამის შექმნაში სასურველია მონაწილეობდეს ყველა პედაგოგი და მთელი დატვირთვა არ მოდიოდეს პროგრამის ხელმძღვანელზე, რომელიც სხვა პედაგოგთა მსგავსად მოწვეულია.
  - სასურველია პროგრამის სწავლის მიზნებისა და შეფასების სისტემის შესაბამისობის გადასინჯვა.
  - ყოველი კურსის სილაბუსი სასურველია ასახავდეს, კონკრეტულად რომელ კომპეტენციას უყალიბებს სტუდენტს.
  - სილაბუსებში უნდა გაიზარდოს შუალედური და საბოლოო გამოცდის წილი.
  - სწავლის მიზნების გაზომვის საკითხი სილაბუსებში გადასახედია.
  - პროგრამის მდგრადობისთვის აუცილებელია, რომ პროგრამას ხელმძღვანელობდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.
  - სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ.
  - პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, სადაც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან გადაკვეთა მონიშნულია ყველა იმ შემთხვევაში, თუ კურსის მიზნები პირდაპირ ან გამჭოლად ითვალისწინებს აღნიშნული სწავლის შედეგების

მისაღწევად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, სასწავლო კურსების გადაკვეთაზე მონიშნული იყოს მხოლოდ ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა, შეჯამება და შეფასება ხდება მითითებულ სასწავლო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლის შედეგების მიღწევა გამჭოლად გასდევდეს სხვა წინმსწრებ ან პარალელურად მიმდინარე კურსებს.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  - მისასალმებელია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური მიდგომა და სტუდენტის ყოველდღიურ აკადემიურ საჭიროებებზე მორგებული თემების შეტანა.
  - მისასალმებელი ჯგუფებში სტუდენტთა სიმცირე, მათთან ინდივიდუალური მუშაობა და მათი დროულად ინფორმირება ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. დადებითად უნდა შეფასდეს უნივერსიტეტში არსებული მრავალფეროვანი საკონსულტაციო სერვისები და მრავალი რგოლი, სადაც სტუდენტს საშუალება აქვს, მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და კონსულტაცია.ამას სტუდენტები ყოველთვის აფასებენ და მადლიერებით აღნიშნავენ.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებას ისახავს მიზნად და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს არაქართულენოვანი მოქალაქეების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას, რაც, თავის მხრივ, ემსახურება სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის აღსრულებას და გულისხმობს მულტიკულტურულ და დემოკრატიულ გარემოში შრომის და განათლების ბაზრის მოთხოვნათა შესატყვისი კომპეტენციებით აღჭურვილი კადრების მომზადებას. პროგრამაში გაშლილია სამი მიმართულება: ენობრივი კომპეტენცია; აკადემიური უნარ-ჩვევები და ინტერკულტურული კომპეტენცია. მართალია, ამ პროგრამას არასოდეს ჰყოლია სრუდენტი, მაგრამ მისი ამუშავების შემთხვევაში უეჭველია, რომ გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს ნაკლებად ექნებათ განვითარებული ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ. ეს კი ხელს შეუშლის მათ ჩართვას საუნივერსიტეტო პროცესებში. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აკადემიური უნარ-ჩვევების განმავითარებელი თემების ინტეგრირება აუცილებელი იქნება ამ უნარ-ჩვევების განსავითარებლად. როგორც უნივერსიტეტის ადმინსიტრაციის, ასევე პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მსჯელობიდან კარგად ჩანს პროგრამის ფარგლებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარების საჭიროება. ამდენად, მნიშვნელოვანია კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა და სასწავლო მასალების/დავალებების გამდიდრება შესაბამისი კომპეტენციის განმავითარებელი თემებით. საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და დისტანციური ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ: პროგრამის მიზნები რეალისტური და მიღწევადია. პროგრამის მიზნები შეესაბამება სასწავლო უნივერსიტეტის მისიას, სტრატეგიასა და მიზნებს. საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და პროგრამების სწავლის შედეგები ერთმანეთთან დაკავშირებულია. თუმცა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს. არც ერთ სილაბუსში არ არის მითითებული ამა თუ იმ კურსის მისაღწევი მიზანი ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს რომელ დონეს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საჭიროა სილაბუსების განახლება. პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების რუკა ძალიან ფორმალურია. საჭიროა იგი შეივსოს უფრო კონკრეტული ინფორმაციით. ყოველი კურსის სილაბუსი სასურველია ასახავდეს, კონკრეტულად რომელ კომპეტენციას უყალიბებს სტუდენტს. სილაბუსებში უნდა გაიზარდოს შუალედური და საბოლოო გამოცდის წილი. პროგრამის ამუშავების შემთხვევაში, პერიოდულად უნდა მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება, პერსონალის და სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და გარე ექსპერტების მონაწილეობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; • ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; • ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; • ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. • სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019
რეკომენდაციები: • პროგრამა სრულად უნდა ემყარებოდეს ქართულის როგორც მეორე ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპულ რეკომენდაციათა ჩარჩოს სტანდარტსა და ძირითად კრიტერიუმებს. მან მთლიანად უნდა დააკმაყოფილოს საერთოევროპული სტანდარტი, რომ კურსის დასრულების დროისთვის სტუდენტი პასუხობდეს B დონის მოთხოვნებს. • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არც ერთ სილაბუსში არ არის მითითებული ამა თუ იმ კურსის მისაღწევი მიზანი ენის სწავლის, სწავლებისა და შეფასების საერთო ევროპული ჩარჩოს რომელ დონეს შეესაბამება. ამ თვალსაზრისით საჭიროა სილაბუსების განახლება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა და მულტიმედიური დავალებების ჩართვა ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამაში.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება დასახულ მიზნებს, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობა უნივერსიტეტის ხედვასა და მისიას. აუცილებელია, რომ პროგრამა სრულად შეესაბამებოდეს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

პროგრამას აქვს სამი მნიშვნელოვანი მიზანი, რომელიც მოიცავს ლინგვისტურ, სოციოლინგვისტურ და პრაგმატულ შემადგენელზე მუშაობას.

პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. პროგრამა

ითვალისწინებს სამიზნე ჯგუფის საჭიროებებს. კერძოდ, გათვალისწინებულია სხვადასხვა ყოფითი სფეროს შესაბამისი სოციალური კონტექსტი, რომელშიც სტუდენტებს მოუწევთ კომუნიკაცია. აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს უნდა ჰქონდეს კონკრეტულად ამ პროგრამის მიზნებზე მორგებული სასწავლო მასალა. ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები მიღწევადი და რეალისტურია. ამასთანავე, ყოველი კურსის სილაბუსი სასურველია ასახავდეს, კონკრეტულად რომელ კომპეტენციას უყალიბებს სტუდენტს. სილაბუსებში უნდა გაიზარდოს სტუდენტთა ქულობრივ შეფასებაში შუალედური და საბოლოო გამოცდის წილი. სწავლის მიზნების გაზომვის საკითხი სილაბუსებში გადასახედია. სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება შეიძლება გახდეს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და უნივერსიტეტის მმართველი რგოლების - ფაკულტეტისა და აკადემიური საბჭოს მიერ ინფორმირებული გადწყვეტილებების საფუძველი. მაგრამ რადგან ეს პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, მისი შედეგების რეალური შეფასება არ მომხდარა. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედგების შეფასება დაგეგმილია 2 წელიწადში ერთხელ. წინამდებარე პროგრამის შემთხვევაში, ორი წელი მოიცავს პროგრამის განხორციელების ორ სრულ ციკლს. ასეთი სასწავლო ციკლები ამ პროგრამას ამ უნივერსიტეტში ჯერ არ ჰქონია.

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნაწილი და მასშია მოცემული მისი დეტალური აღწერაც. მნიშნველოვანია აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში, სადაც აღწერილია სამიზნე ნიშნულები, ცხადად იკითხება მის განსაზღვრის მეთოდოლოგია. წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი რჩება, მოცემული სამიზნე ნიშნულით რომელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასება ხდება, რაც აკრედიტაციის შესაბამის სტანდარტთან წინააღმდეგობაში მოდის.

სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019

რეკომენდაციები:

პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია სამიზნე ნიშნულები, რომელიც არის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების დოკუმენტის ნაწილი და ამ დოკუმენტშია მოცემული მისი დეტალური აღწერაც.
წარმოდგენილ დოკუმენტში ბუნდოვანი რჩება, რომელი სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების შედეგების დადარება ხდება მოცემულ სამიზნე ნიშნულებთან.
აკრედიტაციის 1.2 სტანდარტის შესაბამისად, სამიზნე ნიშნულები უნდა განისაზღვროს თითოეული სწავლის შედეგისთვის, რაც პროგრამის განმახორციელებლებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარების შესაძლებლობას მისცემს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ყოველი კურსის სილაბუსი სასურველია ასახავდეს, კონკრეტულად რომელ კომპეტენციას უყალიბებს სტუდენტს.
- სილაბუსებში უნდა გაიზარდოს შუალედური და საბოლოო გამოცდის წილი.
- სწავლის მიზნების გაზომვის საკითხი სილაბუსებში გადასახედია.
- პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების რუკა ძალიან ფორმალურია. საჭიროა იგი შეივსოს უფრო კონკრეტული ინფორმაციით.
- სასურველია, გარდა ენობრივი კომპეტენციისა, ქართულ ენაში მომზადების საგანამანათლებლო პროგრამის მონაწილეებს პროგრამის ფარგლებში განუვითარდეთ ისეთი აკადემიური უნარ-ჩვევები, როგორიცაა ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, საბიბლიოთეკო რესურსებში ნავიგაცია, ფუნქციური წერა და სხვ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა დაშვება პროგრამაზე განსაზღვულია კანონმდებლობით (იხ. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტი) და ეყრდნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის 1^2 პუნქტი; • განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომის ოქმი #1, დანართი #2; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სამიზნე ნიშნულები; ▪ ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სტუდენტთა განაწილება ჯგუფებში ქართული ენის ცოდნის დონის მიხედვით და წერის, კითხვის, მოსმენისა და მეტყველების მიმართულებების წაყვანა სხვადასხვა ლექტორების მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია

შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი აგებულია ისე, რომ ენის შემსწავლელი წარმოდგენილია ქართულენოვანი სამოქალაქო საზოგადოების მომავალ სრულფასოვან წევრად, რომელმაც ცხოვრებისეულ და აკადემიურ ამოცანებს თავი უნდა გაართვას. შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ამგვარ ამოცანათა აუდიტორიაში გადმოტანას, საჭირო კომპონენტების იდენტიფიცირებას, სწავლებას და საბოლოოდ, რეალური საკომუნიკაციო ამოცანის შესრულებას შემსწავლელთა მიერ. პროგრამის დიზაინი ითვალისწინებს, ერთი მხრივ, სამიზნე კულტურის ელემენტების სწავლებას, მეორე მხრივ, ეყრდნობა ინტერკულტურული განათლების პრინციპებს და სტუდენტებს უვითარებს კულტურათა სხვადასხვაგვარობის დანახვის, განსხვავებულ კულტურაზე დაკვირვების, როგორც ახალი ცოდნის აღმოჩენის უნარს. ქართულ ენაში მომზადების პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 60 კრედიტი (ECTS). სილაბუსთა დიდი ნაწილში მითითებული ლიტერატურა ან ძალიან მოძველებულია ან არ შეესაბამება სილაბუსის მიზანდასახულობას. გასაოცარია, რომ სილაბუსებში სტუდენტებისთვის გამოსაყენებელი ლიტერატურის სიაში ჯერ კიდევ გვხვდება გოლეთიანისა და წიბახაშვილის მიერ შედგენილი სასაუბროები. მისასალმებელია, რომ პრაქტიკულ კურსებს შორის არის ორთოეპიის კურსი, მაგრამ როგორც კურსის შინაარსი გვაჩვენებს იგი იმდენად სწორად მეტყველებაზე კი არ არის ორიენტირებული, რაც უნდა შეადგენდეს ამ კურსის ძირითად მიზანს, არამედ სწორად წერაზე, ანუ ორთოგრაფიაზე, რომელიც ნამდვილად მნიშვნელოვანია, როცა ქართულ ენას ვასწავლით როგორც მეორე ენას, მაგრამ ორთოეპიის კურსის შინაარსი უნდა მოიცავდეს ქართულისთვის დამახასიათებელი ბგერითი სისტემის პრაქტიკულად ათვისებასა და სწორად წარმოთქმას. ეს უნდა აისახოს დავალებებსა და კურსის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურაში. ამ მხრივ ორთოეპიის პრაქტიკული კურსი გადასამუშავებელია. საჭიროა ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ახალი ლიტერატუროთ და მათი ასახვა სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; ▪ ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსთა დიდი ნაწილში მითითებული ლიტერატურა ან ძალიან მოძველებულია ან არ შეესაბამება სილაბუსის მიზანდასახულობას. გასაოცარია, რომ სილაბუსებში სტუდენტებისთვის გამოსაყენებელი ლიტერატურის სიაში ჯერ კიდევ გვხვდება გოლეთიანისა და წიბახაშვილის მიერ შედგენილი სასაუბროები.
- ყოველი კურსის სილაბუსი სასურველია ასახავდეს, კონკრეტულად რომელ კომპეტენციას უყალიბებს სტუდენტს.
- მისასალმებელია, რომ პრაქტიკულ კურსებს შორის არის ორთოეპიის კურსი, მაგრამ როგორც კურსის შინაარსი გვაჩვენებს იგი იმდენად სწორად მეტყველებაზე კი არ არის ორიენტირებული, რაც უნდა შეადგენდეს ამ კურსის ძირითად მიზანს, არამედ სწორად წერაზე, ანუ ორთოგრაფიაზე, რომელიც ნამდვილად მნიშვნელოვანია, როცა ქართულ ენას ვასწავლით როგორც მეორე ენას, მაგრამ ორთოეპიის კურსის შინაარსი უნდა მოიცავდეს ქართულისთვის დამახასიათებელი ბგერითი სისტემის პრაქტიკულად ათვისებასა და სწორად წარმოთქმას. ეს უნდა აისახოს დავალებებსა და კურსის ფარგლებში გამოყენებულ ლიტერატურაში. ამ მხრივ ორთოეპიის პრაქტიკული კურსი გადასამუშავებელია.
- სილაბუსებში დასახელებული ყველა ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკის კატალოგში
- საჭიროა ბიბლიოთეკის გამდიდრება ქართულის როგორც მეორე ენის სწავლების ახალი ლიტერატურით და მათი ასახვა სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლების სფეროს აქტუალურ მეთოდებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული სილაბუსი შეიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) სასწავლო კურსის სახელწოდება; ბ) ავტორი და/ან განმახორციელებელი; გ) სასწავლო კურსის/მოდულის მიზნები; დ) კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად; ე) დაშვების წინაპირობები; ვ) სწავლის შედეგები; ზ) შინაარსი; თ) სწავლების/სწავლის მეთოდები; ი) შეფასების კრიტერიუმები; კ) ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა; ლ) სწავლის შედეგების და შეფასების რუქა. ყველა სილაბუსი აჩვენებს მასზე მომუშავე და პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიონალიზმს, რაც გამოიხატება იმით, რომ თითოეული კურსი ემსახურება პროგრამის საბოლოო მიზნების მიღწევას და გამოყენებულია ენის სწავლების ახალი მეთოდოლოგია. სასწავლო მასალები შემუშავებულია პროგრამის ხელმძღვანელის მიერ. პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის ძირითადი მახასიათებლებია ის, რომ პროგრამაში გამოყენებულია ენისა და შინაარსის ინტეგრირებულად სწავლება. დიდი ყურადღება ექცევა ინტერკულტურულ განათლებას. ყველა კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მოიცავს პრაქტიკულ მეცადინეობებს. აქტივობები და შეფასების მეთოდები მრავალფეროვანია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; ▪ ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ტერმინოლოგიის ზუსტად გამოყენება. ოთხივე მიმართულება: წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი მოიხსენიება ქართული ენის სამეტყველო ფუნქციებად, რაც მრავალი შეცდომის საფუძველი ხდება. ამ თვალსაზრისით ტერმინოლოგია და სილაბუსები მთლიანად გადასახალისებელია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული დისტანციური ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტები მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ უნივერსიტეტი მხარს უჭერს სტუდენტთა კვლევით ინიციატივებს (კონფერენციებში, კვლევით პროექტებში და ა. შ. სტუდენტთა მონაწილეობას). ასევე მნიშვნელოვანია სტუდენტთა ჩართულობა სხვადასხვა ღონისძიებებში (კონცერტებში, გამოსვლებში, ექსკურსიებსა და ლაშქრობებში). უნივერსიტეტს ჰყავს სტუდენტები, რომლებმაც სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლა გააგრძლეს ევროპის უნივერისტეტებში. სტუდენტები დიდი სიყვარულით მოიხსენიებენ ლექტორებს, მათგან ყოველთვის გრძნობენ მხარდაჭერას, რაც ძალიან მისასალმებელია.

პოგრამის ამუშავების შემთხვევაში, იმედია, რომ არაქართულენოვანი სტუდენტებიც გახდებიან უნივერსიტეტის სტუდენტთა ბუნებრივი ნაწილი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; ▪ ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზება და სწავლის შედეგების მიღწევა ხდება სწავლა-სწავლების მეთოდებზე დაყრდნობით. პროგრამის ამუშავების შემთხვევაში სწავლებისას გამოყენებული იქნება:

➢ კომუნიკაციური მიდგომა. ამოსავალია ის საკომუნიკაციო სიტუაცია, რომელშიც შემსწავლელს ამა თუ იმ სამეტყველო უნარ-ჩვევის გამოყენება უწევს. ენობრივი საშუალებები აქტიურდება საკომუნიკაციო სიტუაციებში. კომუნიკაციური მიდგომით დიდაქტიზებული სასწავლო მასალები სტუდენტებს გაუადვილებს მიზნობრივი ენის გამოსაყენებელი საკომუნიკაციო საჭიროებების გაცნობას.

➢ ქმედებაზე ორიენტირებული მიდგომა-სამეტყველო აქტში მნიშვნელოვანია ამოცანა, რომელსაც თავი უნდა გაართვას შემსწავლელმა. სასწავლო პროცესში რეალობასთან მიახლოებული ამოცანების შექმნა შემსწავლელს ამზადებს, აუდიტორიაში მიიღოს ცოდნა, რომლის გამოყენებაც მის მიღმა დასჭირდება.

➢ ენების სწავლა-სწავლება ეყრდნობა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს, რომლის მიხედვითაც ცოდნის აგების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია წინარე ცოდნის გახსენება, არსებული ცოდნის დაკავშირება ახალთან.

➢ აღმოჩენით სწავლება - ენების სწავლა-სწავლებაში მნიშვენლოვანია, სტუდენტი ცოდნის მექანიკური მიმღები არ იყოს და თავად ჩაერთოს ახალი ცოდნის აღმოჩენის პროცესში (მაგ., გრამატიკული წესის ტექსტზე დაკვირევბის შედეგად აღმოჩენა).

➢ სიმულაცია და როლური თამაში - ეს აქტივობები ხელს უწყობს შემსწავლელს, რეალობასთან მიახლოებულ საკომუნიკაციო სიტუაციებში განიმტკიცის ცოდნა და მოემზადოს რელური ენობრივი აქტებისთვის.

➢ ჯგუფური, წყვილებში და ინდივიდუალური მუშაობა - მუშაობის ეს სოციალური ფორმები სასწავლო პროცესის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა დანიშნულებით შეიძლება გამოიყენებოდეს: მაგ., შედარებით რთული დავალების შესასრულებლად წყვილებში მუშაობა შემსწავლელს უადვილებს სამუშაოს, უვითარებს თანამშრომლობის უნარს.

➢ ინტერკულტურული სწავლება - მნიშვნელოვანია სტუდენტებში ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სამიზნე კულტურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებს, მერე მხრივ, სტუდენტის სოციოლინგვისტური მგრძნობელობის განვითარებას და მის მზაობას, ისწავლოს მულტიკულტურულ გარემოში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სილაბუსები გადასახალისებელია ისე, რომ სრულად პასუხობდეს შეესაბამება განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის ქართული ფილოლოგიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის სხდომაზე მიღებულ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებლებს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ერთნაირია ყველა სტუდენტისათვის, გამჭვირვალეა და შეესაბამება კანონმდებლობას.

თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.

შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას. შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.

უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

სტუდენტთა შეფასება ხორციელდება ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას 40% (0-40 ქულა).

სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას იღებს:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

● FX-ის ან დასკვნით შეფასება „ჩაიჭრა“ ნიშნავს, რომ სტუდენტისთვის დაინიშნება დამატებითი გამოცდა დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

● საკონსულტაციო საათები განისაზღვრება სემესტრის დასაწყისში და განთავსდება სასწავლო ცხრილთან ერთად.

შეფასების ქულა და კრიტერიუმები, როგორც თეორიული საკითხების, ასევე პრაქტიკული დავალებების შეფასების ნაწილში, ინდივიდუალურია და გაწერილია

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • სილაბუსები (შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები); • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (ბხსუ-ს შეფასების სისტემები; შეფასების შედეგების გასაჩივრების პროცედურა); • სწავლება-სწავლის მეთოდები • ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა • სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. • სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სილაბუსებში უნდა გაიზარდოს შუალედური და საბოლოო გამოცდის წილი. სწავლის მიზნების გაზომვის საკითხი სილაბუსებში გადასახედია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): შეფასების სანდოობის უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტში დანერგილია მეთოდი, რომლის მიხედვით პროგრამის სწავლის შედეგების ნაწილში, კერძოდ კი სწავლის შედეგების შეფასების და მისი შინაარსის შედგენაში ერთვებიან სხვადასხვა ჯგუფის ლექტორები. ობიექტურობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად შეფასების ფორმები, მეთოდები, კომპონენტები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო პროცესის ელექტრონულ სისტემაში. ყველა სტუდენტი დაუბრკოლებლად ეცნობა სილაბუსს. მან წინასწარ იცის, თუ რაში, როგორ და როდის აფასებენ. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა თავისი პროფილიდან გახსნას ნებისმიერი სილაბუსი და გაეცნოს მას. ამდენად სილაბუსის აგებულება, შინაარსი, შეფასების ფორმები, კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი გამოირჩევა სტუდენტების საჭიროებების ინდივიდუალური მიდგომით სასწავლო პროცესის მსვლელობისას, რაც შემდგომში აისახება სტუდენტების კმაყოფილებასა და სწავლის ხარისხზე. აღნიშნული დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიურებისას. აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდენტებთან ინდივიდუალური მუშაობა. სტუდენტებს აქვთ საკონსულტაციო საათები. შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს ლექტორს. სტუდენტები იღებენ გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკს საჭიროების შემთხვევაში. უნივერსიტეტში მოქმედებს კარიერული დაგეგმვის სერვისი. არის სხვადასხვა გადამზადების კურსები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალუ	√			

რი მუშაობა				

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას. პროგრამსს ჰყავს მხოლოდ მოწვეული ლექტორები, რაც არ არის ძლიერი საფუძველი პროგრამის მდგრადობისთვის. ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება გვარწმუნებს, რომ უნივერსიტეტში ეს პროგრამა ამუშავების შემთხვევაში წარმატებით განხორციელდება. ეს დაადასტურა მოწვეულ პერსონალთან გამართულმა ინტერვიუებმა. პროგრამაში ჩართულია პრაქტიკოსი პირები, რომლებსაც გააჩნიათ სფეროში მუშაობის დიდი გამოცდილება და პროფესიულ საზოგადოებაში სარგებლობენ კარგი რეპუტაციით. პროგრამის ხელმძღვანელს ქართულის, როგორც მეორე და/ან უცხო ენის სწავლებაში აქვს დიდი და ნაყოფიერი გამოცდილება. იგი უნივერსიტეტში სხვა კურსებსაც ხელმძღვანელობს. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის ხელმძღვანელს, ასევე პროგრამაში ჩართულ პერონალს უნივერსიტეტის ფარგლებში აკადემიური თანამდებობა არ უკავია. აქედან გამომდიანრე, პროგრამაში არ არის ჩართული აკადემიური ან/და აფილირებული პერსონალი. უნივერსიტეტმა ხელი უნდა შეიუწყოს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომპეტენციის მქონე პერსონალის მოზიდვას პროგრამის განხორციელების შემთხვევაში. პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია სტუდუნეტთა ინდივიდუალური კონსულტაციები. გარდა ამისა, სტუდენტებს კონსულტაციას უწევს, ფაკულტეტის ადმინსიტრაცია და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი სამსახურები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 3 პერსონალი. სილაბუსების შემუშავებაში მონაწილეობს მოწვეული პერსონალი და პროგრამაც ძირითადად სწორედ მოწვეულმა პერსონალმა უნდა განახორციელოს, რაც ქმნის პროგრამის მდგრადობისთვის საფრთხეს მისი ამუშავების შემთხვევაში. მართალია, უნივერსიტტი მზად არის, იტვირთოს ფინანსური ხარჯი, მაგრამ მისი ფინანსური მდგომარეობა ამ მზადყოფნას ვერ შეუქმნის

მტკიცე საფუძველს. შიდა რეგულაციებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ფუნქციები. როგორც მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტების (ავტობიოგრაფიები) შესწავლისას, გამოიკვეთა, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები, ძირითად შემთხვევაში, ადგილობრივ სამეცნიერო საუნივერსიტეტო ჟურნალშია გამოქვეყნებული. პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელის პირადი დოკუმენტაციის განხილვის შედეგად, დგინდება, რომ მას გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია დასტურდება მიმართულების/დარგის შესაბამისი განათლებით. სტუდენტების რეფლექსია მათი მხარდამჭერი სერვისებისა და შესაბამისი პერსონალის მომსახურების შესახებ ადასტურებს მათ კმაყოფილებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისინი ფაკულტეტს მიმართავენ. კურსის შინაარსთან, მიმდინარე აქტივობებთან და დავალებებთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით კურსის ხელმძღვანელებს და ლექტორებს. ლექტორებს განსაზღვრული აქვთ საათები ინდივიდუალური შეხვედრებისთვის. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ გარდა ამ საათებისა, ნებისმიერ დროს შეუძლიათ ლექტორს შეუთახნმდნენ დამატებითი შეხვედრებისთვის და მათთვის მოსახერხებელ დროს შეხვდნენ მას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • პერსონალის სამუშაო აღწერილობები-უნივერსიტეტის დებულება; პროგრამის განხორციელების წესი; სამუშაო აღწერილობები (დანართი N6); (დანართი N7); • მოწვეული პერსონალი პირადი საქმეები; • სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. • სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 • ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად დაცული იქნეს ბალანსი ძირითად და მოწვეულ პერსონალს შორის. ამჟამად პროგრამას ახორციელებენ მოწვეული ლექტორები. თვით პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც ქმნის ყველა სილაბუსს და პროგრამის კონცეფციას, მოწვეულია. ამ საქმეს უნდა უძღვებოდეს კონკურსის წესით არჩეული პროფესორი.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი როგორც პროგრამაში ჩართული მოწვეული აკადემიური პერსონალის პროფესიული ბიოგრაფიები აჩვენებს, მათ არ აკლიათ წვრთნა და გამოცდილება მათი აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში. ისინი მონაწილეობენ კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და კონფერენციებში. უნივერსტიტეტს წარმოდგენილი აქვს კადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია სემინარები, პროფესიული გადამზადების ტრენინგებზე მივლინებები და ა.შ. პროგრამას თან ახლავს იმ აქტივოებების ანგაირიში, რომელიც უნივერსიტეტმა პერსონალის პროფესიული განვითარებისთივს განახორციელა. ანგარიში ადასტურებს, რომ უნივერსტეტს პროფესიული განვითარების ფართო შესაძლებლობები აქვს შეთავაზებული პერსონალისთვის - ტრენინგების, ვორკშოფები, სემინარები, კონფერენციები და ა.შ. ინტერვიუებიდან გამოიკვეთა მზაობა, რომ აღნიშნული პროგრამის ამოქმედების შემთვევაში, უნივერსიტეტი იზრუნებს ასევე პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარებაზეც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მოწვეული პერსონალი პირადი საქმეები;
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

პროგრამა ძირითადად აგებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომებზე. მნიშვნელოვანია, პროგრამის ამუშავების შემთხვევაში უნივერსიტეტმა დაგეგმოს პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარება სწავლების მეთოდებისა და სტრატეგიების მიმართულებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
ექსპერტთა ჯგუფმა

ექსპერტთა ჯგუფმა ვირტუალურად დაათვალიერა სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ბიბლიოთეკის კატალოგი. ექსპერტთა ჯგუფის წევრები დარწმუნდნენ, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ამუშავების შემთხვევაში განხორციელდება კარგი ინფრასტურქურის პირობებში, სტუდენტებს ექნებათ სასურველი პირობები განათლების მისაღებად.
საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებობს სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი, პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად საჭირო ინვენტარი, საინფორმაციო-ტექნოლოგიური აღჭურვილობა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა ძალზე კომფორტულია მუშაობისა და კვლევისათვის, რესურსები კატალოგიზებულია და შესაძლებელია ელექტრონულად მათი მოძებნა.
პროგრამა უზრუნველყოფილია სათანადო საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსით, რაც პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს.
სილაბუსებში დასახელებული ყველა ლიტერატურა არ არის ბიბლიოთეკის კატალოგში.
უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებისა და სამეცნიერო პერსონალის წვდომას საერთაშორისო უცხოურ სამეცნიერო ბაზებთან.
უნივერსიტეტის წარმომადგენლების მტკიცებით პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები, რომლებიც აღჭურვილია კომპიუტერით, მონიტორით და სხვა აუცილებელი ინვენტარით. სტუდენტებისთვის განკუთვნილია ასევე თავისუფალი სივრცე.
სასურველია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა დიდი რაოდენობით იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომ თითოეულმა სტუდენტმა დაუბრკოლებლად შეძლოს მისთვის საჭირო წიგნის გამოყენება.
ბიბლიოთეკაში უნდა შევიდეს ქართულის როგორც მეორე ენისთვის საჭირო ახალი სასწავლო ლიტერატურა და ეს ლიტერატურა უნდა აისახოს სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ქართული ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში დასახელებული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა დიდი რაოდენობით იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რომ თითოეულმა სტუდენტმა დაბრკოლებლად შეძლოს მისთვის საჭირო წიგნის გამოყენება.
- ბიბლიოთეკაში უნდა შევიდეს ქართულის როგორც მეორე ენისთვის საჭირო ახალი სასწავლო ლიტერატურა და ეს ლიტერატურა უნდა აისახოს სილაბუსებში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, მაგრამ იგი არასოდეს არ ამუშავებულა. პროგრამას არ აქვს დამოუკიდებელი ბიუჯეტი.

პროგრამის ხარჯები გათვალისწინებულია უნივერსიტეტის საერთო ბიუჯეტში. აღნიშნული ბიუჯეტით გათვლისწინებულია ასევე ახალი პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები. მათ შორის „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ შემუშავებისა და განხორციელების ხარჯები. პროგრამა უნივერსიტეტის მისიისა და მიზნების მიღწევისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ატარებს, ამდენად მისი დაფინანსება არ ფერხდება. ინტერვიუების შედეგად იკვეთება, რომ უნივერსიტეტი მზად არის პროგრამა აამოქმედოს ერთი სტუდეტნის შემთხვევაშიც. უნივერსიტეტის ადმინისიტრაცია ცალსახად გამოხატავს პროგნოზს, რომ პროგრამა ვერ იქნება მომგებიანი, რადგან არ ჩნდება პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა გაჩენის ან ზრდის ტენდენციები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; ▪ ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის ამუშავების შემთხვევაში, პერსონალის წახალისების გაძლიერება ფინანსური უზრუნველყოფის გზით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. თუმცა ეს მეთოდი არასოდეს არ გამოყენებულა ამ პროგრამის მიმართ, რადგან მას ჯერ არ ამუშავებულა.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტის შიდა ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს დაგეგმე, იმოქმედე, შეამოწმე, განახორციელე. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით,სწავლების ხარისხის უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით (პროგრამის ხელმძღვანელები, აკადმიური და მოწვეული პერსონალი). ხარისხის გასაზომად და საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით უნივერსიტეტი ატარებს სტუდენტთა გამოკითხვას ყოველი ასწავლო წლის ბოლოს. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც აღწერს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ წესებსა და რეგულაციებს და ამასთანავე შემუშავებულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი

წესი, რომელიც აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს. აღნიშნულ დოკუმენტებში აღწერილია უნივერსიტეტის ფუნქციონირება თითქმის ყველა მიმართულებით - პროგრამის შემუშავების, განხრციელებისა და შეფასების მქანიზმები, სტუდენტთა ჩარიცხვის, მობილობის, შეფასებისა და სხვა საკითხებს. ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აკრედიტაციისა და ავტორიზაციის ახალ სტანდარტებზე მორგებული შიდა ხარისხის მექნიზმებზე დაყრდნობით ჯერ არ განხორციელებულა სხვა პრორგამების შეფასება. მით უმეტეს არ მომხდარა ამ მექანიზმებით აღნიშნული პროგრამის შეფასება. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგებისა და ხარისხის შეფასებასა და ინტერვენციების დანერგვას ახორციელებს ხარისხის უზურნველყოფის სამსასხური შესაბამისი სპეციალისტების დახმარებით. პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების პროცესში მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელის როლი, რომელიც ყოველწლიურად ანგარიშის სახით წარუდგენს აკადემიურ საბჭოს პროგრამის შეფასების შედეგებს. პროგრამის ხელმძღვანელის ششეფასების შედეგებზე დაყრდნობით აკადემიური საბჭო შეიმუშავებს / ამტკიცებს წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და ინტერვენციებს პროგრამის განვითრებისთვის. აღნიშნული ინტერვნეციების დანერგვის პროცესში მთავარი აქტორი არის ასევე პროგრამის ხელმძღვანელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით; ▪ ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება; ▪ ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი ▪ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ▪ სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები. ▪ სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019 ▪ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): სემესტრში მინიმუმ ერთხელ გამოკითხვის ჩატარება სტუდენტებთან და მათი შეხედულებების/ რჩევების საფუძველზე შესაბამისი ზომების მიღება.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს საუნივერსიტეტო დონეზე წარმოადგენს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი.

როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა, აღნიშნული პროგრამის შეფასება არ განუხორციელებია დაინტერესებული მხარეებს. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას არ ჰყოლია სტუდენტი, არ განხორციელებულა მისი პერიოდული შეფასება. გარდა ამისა, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუდან იკვეთება, პროგრამის შინაარობრივი განახლება არც რეაკრიდატიის ეტაპზე მოხდა. ცვლილებები შეეხო მხოლოდ სწავლის შედეგებს, რომელიც გამსხვილდა და მოდიფიცირდა სწავლის შედეგების სამი სფეროს - ცოდნის, უნარებისა და ავტონომიურობა/პასუხისმგებლობის მიხედვით. პროგრამის ხელმძღვანელი ამას ხსნის პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა დაბალი მოლოდინით. სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ დაინტერესებულმა მხარეებმა - მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებმა / კურსდამთავრებულებმა და სხვ. წინამდებარე პროგრამის შემთხვევაში კი, მისი შეფასება შეიძლებოდა განხორციელებულიყო პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019

- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, შემუშავებული პროგრამის შეფასება განახორციელონ დაინტერესებულმა მხარეებმა - მომიჯნავე პოროგრამების სტუდენტებმა/კურსდამთავრებულებმა და სხვ. წინამდებარე პროგრამის შემთხვევაში კი, მისი შეფასება შეიძლებოდა განხორციელებულიყო პარტნიორი უნივერსიტეტის მიერ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს პროგრამის ხელმძღვანელი ყოველწლიური ანგარიშის ფორმით წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს. ფაკულტეტის საბჭო განიხილავს პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილს შედეგებსა და მოსაზრებებს ამტკიცებს პროგრამსი გაუმჯობესების სტრატეგიას. შემუშავებული რეკომენდაციებისა და პროგრამის გაუმჯობესებისათვის დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის გაუმჯობესების სტრატეგიის შემუშავებისას მხედველობაში

მიიღება დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის შედეგები. კერძოდ, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების,პოტენციური დამსაქმებლის სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მოსაზრებების მოკრება და შეჯერება.

პროგრამების მონიტორინგის ერთ-ერთ ინსტრუმენტს წარმოადგენს სწავლის შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. შეფასების შედეგები დინამიურად აისახება პროგრამებში.

ხარისხის უზურვენლყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად ცხადი ხდება, რომ კომპეტენციების რუკის დახმარებით იზომება კონკრეტული სასწავლო კურსის წვლილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. ამავე დროს, კომპეტენციების რუკა აჩვენებს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელიც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. პროგრამაზე თანდართული კომპეტენციების რუკის შესწავლისას კი, განსხავებული სურათი იქმნება. კომპეტენციების რუკა წარმოადგენილია ცხრილის სახით, სადაც მოცემულია სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების თანაკვეთა. მათი გადაკვეთა მონიშნულია იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული კურსი გადის მონიშნულ სწავლის შედეგზე. მოცემული კომპეტენციების რუკის შემთხვევაში, ჩვენ ვხედავთ, რომ უმეტესი კურსის შემთხვევაში მონიშნულია თითქმის ყველა სწავლის შედეგი ან რამდენიმე. ინტერვიუებზე აღნიშნული საკითხის დაზუსტების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან გადაკვეთა მონიშნულია ყველა იმ შემთხვევაში, თუ კურსის მიზნები პირდაპირ ან გამჭოლად ითვალისწინებს აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, სასწავლო კურსების გადაკვეთაზე მონიშნული იყოს მხოლოდ ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა, შეჯამება და შეფასება ხდება მითითებულ სასწავლო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლის შედეგების მიღწევა გამჭოლად გასდევდეს სხვა წინმსწრებ ან პარალელურად მიმდინარე კურსებს.

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამას არ ყავს კურსდამთავრებული და სტუდენტი, უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა უშუალოდ პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგები, თუმცა პროგრამის განხორციელების შემთხვევაში, მასზე გავრცელდება ზემოაღნიშნული წესები და რეგულაციები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა, დამტკიცებული ხელოვნების უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტი სN 05-01/01 გადაწყვეტილებით;
- ბხსუ-ის სტრატეგიული გეგმა;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასება;
- ბხსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები.
- სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში, 09.12.2019
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამას თან ახლავს კომპეტენციების რუკა, სადაც სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან გადაკვეთა მონიშნულია ყველა იმ შემთხვევაში, თუ კურსის მიზნები პირდაპირ ან გამჭოლად ითვალისწინებს აღნიშნული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო კომპეტენციების განვითარებას. სასურველია, სასწავლო კურსების გადაკვეთაზე მონიშნული იყოს მხოლოდ ის სწავლის შედეგები, რომელთა მიღწევა, შეჯამება და შეფასება ხდება მითითებულ სასწავლო კურსში, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ სწავლის შედეგების მიღწევა გამჭოლად გასდევდეს სხვა წინმსწრებ ან პარალელურად მიმდინარე კურსებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა √ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ქართულ ენაში მომზადების

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 39

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა თინათინ ბოლქვაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის



სახელი, გვარი, ხელმოწერა მიხეილ გიორგაძე